



სასწავლო საგნის დასახელება	ინგლისური ენა
სწავლების საფეხური/კლასი	საბაზო საფეხური IV კლასი
სახელმძღვანელო	Grammar Book- Round-up 2. Distance learning web resources : <i>K5Learning; Ebooks, en.childrenslibrary.org edutopia.org; learnenglishkids.britishcouncil.org</i>
სასწავლო საგნის ხანგრძლივობა	8 თვე
მეცადინეობის განრიგი	კვირაში 2 საათი
სასწავლო ცენტრში ინგლისური ენის სწავლების მიზანი	მოსწავლეებმა უნდა შეიყვარონ ინგლისური ენის სწავლის პროცესი. ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება სამიზნე ენის კულტურის მიმართ. მეთოდურად გაკვეთილები ორიენტირებულია დიფერენცირებულ მიდგომაზე. თითოეულმა მოსწავლემ უნდა შეძლოს მაღალი მოტივაციით განივი თაროს ზეპირი, მოსმენის, წერისა და კითხვის უნარები. საბაზო საფეხურზე წარმატებული სწავლის გაგრძელების წინაპირობაა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებისთვის სახალისო და განმავითარებელ გარემოში ყოფნა.
ცენტრის მუშაობის მიზანი	კინგსის აკადემიის მუშაობის პრიორიტეტული მიზნებია: მოსწავლეს განუვითარდეს შემდეგი უნარები: <ul style="list-style-type: none"> პროდუქტიული უნარები (მოსმენა და ლაპარაკი) რეცეპტიული უნარები (წერა და კითხვა) ინტერკულტურა (სამიზნე ენის კულტურის თავისებურებების აღქმა-გააზრება) სწავლის სწავლა (სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვა)
სასწავლო საგნის ანოტაცია.	მოსწავლეები ეცნობიან უცხო ქვეყნის კულტურას, ტრადიციებს, ავლებენ პარალელებს თავის ქვეყანასა და ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე და სხვა ქვეყნებს შორის. აცნობიერებენ ინგლისური ენის შესწავლის აუცილებლობას, ინგლისურ ენას იყენებენ თავისი ქვეყნის სასარგებლოდ, მაგ. გააცნონ სხვა ქვეყნებს საქართველოს ისტორია, მოვლენები, კულტურა, შეიძინონ მეგობრები.



<p>საგნის ათვისების აუცილებელი წინაპირობა</p>	<p>ამ საფეხურზე ენას აქვს გაცნობითი ხასიათი. მოსწავლემ უნდა შესძლოს საკუთარი თავის წარდგენა. ასევე სწორად უნდა აღიქვას ენის თავისებურებანი (ინტონაცია,მახვილი, ფრაზა,და ა.შ.)</p>
<p>სასწავლო საგნის მიზანი(ები)</p>	<p>III-IV კლასების მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ენობრივი საკითხების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს პრაქტიკული აქტივობებით აბსტრაქტული ტერმინების, წესებისა და თეორიული განმარტებების გარეშე.</p>
<p>სამეტყველო ფუნქციები</p>	<p>ინტერაქცია სოციალური ურთიერთობებისას: მისაღმება, დამშვიდობება, გაცნობა, მადლობის გადახდა, მილოცვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად: პირადი მონაცემების გაცვლა, ადამიანის/საგნის აღწერა, ამინდის გაგება, ნებართვის თხოვნა; • ინტერაქცია შეხედულებებისა და დამოკიდებულებების შესახებ: მოწონება/არმოწონება, სურვილის გამოხატვა, დადებითი და უარყოფითი შეფასება; • ინტერაქცია ემოციებისა და შეგრძნებების შესახებ: ემოციებისა (სიხარული, ბრაზი, წუხილი, გაოცება, შიში) და შეგრძნებების (სიცივე, სიცხე) გამოხატვა; • ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ: დროის მითითება, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება
<p>სწავლების ფორმები</p>	<p>გაკვეთილზე პოზიტიური გარემოს შექმნა, სხვადასხვა სახის აუდიო და ვიდეო საშუალებებით მათი ფანტაზიის აღძვრა.თამაშის ელემენტების გამოყენებით მოსწავლეთა მაღალი ჩართულობის უზრუნველყოფა.</p> <ul style="list-style-type: none"> • დიალოგური მეტყველების განვითარება. • მოსმენის პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ისეთი მარტივი ტექსტების მოსმენა, გაგება გაანალიზება რაც მათ ცოდნას შეესაბამება. მოსმენა უნდა დაეთმოს სისტემატიური ხასიათი მოსმენამდე უნდა მოხეს იმ სიტყვებისა და ფრაზების შესწავლა რაც მოსმენის დროს იქნება გამოყენებული. • პრიორიტეტული ამოცანაა მოსწავლის ალაპარაკება. ამ დროსაც წინასწარ უნდა მოხდეს სიტყვების და ფრაზების წინასწარ შესწავლა რაც საუბრის დროს ექნებათ გამოსაყენებელი. • კითხვითი უნარების განვითარების მიზნით მოსწავლეებს მცირე ზომის, ავთენტური ტექსტები მიეწოდებათ.



<p>გრამატიკის სწავლება</p>	<p>მოსწავლეები სახალისო აქტივობების საფუძველზე ავტომატურად იმახსოვრებენ და იყენებენ მარტივ და ხშირად ხმარებულ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ფორმებს;</p>
<p>სასწავლო საგნის ამოცანები I სემესტრში</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული მცირე ზომის ტექსტების მოსმენა/მოსმენა-ყურება და გაგება. • მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა, ნაცნობი თემატიკის გარშემო საუბარი. • მოსწავლემ უნდა შეძლოს სიტყვების, წინადადებების გაშიფრვა; სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების გაშიფვრა და გაგება.
<p>სასწავლო საგნის ამოცანები II სემესტრში</p>	<p>I სემესტრში ნასწავლი მასალის გამეორება განმტკიცება. ახალი მასალის მიწოდება.</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლემ უნდა შეძლოს კალიგრაფიული ნორმების დაცვა; მოდელის მიხედვით სხვადასხვა ტიპის მარტივი ტექსტების შედგენა. • მოსწავლემ უნდა შეძლოს ილუსტრაციებსა და ტექსტებში საკუთარი და უცხო კულტურის რეალიების ამოცნობა. • მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით უნდა შეძლოს სწავლის პროცესზე დაფიქრება, საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა და სწავლის პროცესში საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების დასახელება.
<p>დამატებითი მასალა I სემესტრში</p>	<p>ახალი მასალის შესწავლა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. წელიწადის დროები. 2. წელიწადის თვეები. 3. სხეულის აგებულება. 4. ჩემი ოჯახი. 5. საცხოვრებელი ადგილი <p>ყოველივეს სწავლება გათვალისწინებულია, ვიდეო ფილმების, სიმღერების მოსმენით და ჩვენებით. თამაშებით, კროსვორდებით და სხვადასხვა თავსატეხებით.</p>



<p>დამატებითი მასალა I I სემესტრში</p>	<p>I სემესტრში ნასწავლი მასალის გამეორება განმტკიცება. ახალი მასალის შესწავლა.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კვება 2. ვარჯიში 3. პროფესიები 4. სასკოლო გარემო <p>ყოველივეს სწავლება გათვალისწინებულია, ვიდეო ფილმების, სიმღერების მოსმენით და ჩვენებით. თამაშებით, კროსვორდებით და სხვსდასხვა თავსატეხებით.</p>
--	---

<p>კითხვა I სემესტრში</p>	<ul style="list-style-type: none"> • პრაგმატული ტექსტები: სია, აბრა, გაკვეთილების ცხრილი, დღის განრიგი, საბავშვო ტელეგადაცემების პროგრამა, საბავშვო კატალოგი, ღია ბარათი, გზავნილი, ანკეტა პირადი მონაცემებით, ინსტრუქცია; • სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები თემატური დიალოგები/მონოლოგები, მარტივი თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; საინფორმაციო ტექსტები;
<p>კითხვა I I სემესტრში</p>	<ul style="list-style-type: none"> • მულტიმედიური ტექსტები: ადაპტირებული კომიქსები, ანიმაციური ფილმები, საბავშვო სიმღერები, აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები საპროგრამო თემატიკაზე, რეკლამა. • საბავშვო ლიტერატურა: ლექსები, გათვლები, ენის გასატეხები, ზღაპრები.
<p>საუბარი I და II სემესტრში</p>	<ul style="list-style-type: none"> • ფილმების ყურება ინგლისურ ენაზე და შემდეგ მსჯელობა ნანახის ირგვლივ. • როლური დიალოგები



<p>თამაშები</p>	<ul style="list-style-type: none"> • როლური თამაშები; • თემატური ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის შექმნა; თანაკლასელებთან/ მეწყვილესთან შეჯიბრი; ენის გასატეხის/გათვლის სწრაფად და გამართულად წარმოთქმაში; მითითებული ემოციის განსახიერება: " გაბრაზებული", "მხიარული", "მოწყენილი..."; • ლექსის ან სიმღერის გამეორება რიტმული მოძრაობებით, ტემპისა და ტემბრის ცვლით. • სხვადასხვა თემაზე (მაგ. „ჩემი ოჯახი“) ნახატებით/ფოტოებით და მათი აღწერი წარწერებით გაფორმებული ტექსტის შექმნა. ამ ტექსტში განვლილი მასალის შესაბამისად შეიძლება სხვადასხვა ასპექტის წამოწევა, მაგ., გარეგნობა, პროფესია/საქმიანობა, ჩაცმულობა და სხვ. ამავე ტიპის აქტივობა შეიძლება გაკეთდეს თემებზე „ჩემი ეზო“, „ჩემი საყვარელი ნივთი“, „ჩემი სახლი“, „ჩემი ოთახი“, „ჩემი ოთხფეხა მეგობარი“ და სხვ
<p>წერა I და II სემესტრში</p>	<p>ასოთშენაერთები, მთავრული/არამთავრული ასოები, სიტყვათა შემოკლებული ფორმები, პუნქტუაციის, მართლწერის ელემენტარული გრამატიკული სავარჯიშოების წერა, როგორც კლასში ისე სახლში. კითხვებზე პასუხის გაცემა , TRUE/FALSE. შეავსე გამოტოვებული ადგილები ტექსტიდან და სხვადასხვა ტიპის წერითი სავარჯიშოების შესრულება.</p>